დამტკიცებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N42 ოქმით
განახლებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N140 ოქმით
განახლებულია რექტორის საბჭოს მიერ 2023 წლის N163 ოქმით
განახლებულია რექტორის ბრძანებით 2025 წლის N181 ბრძანებით
განახლებულია რექტორის საბჭოს 2026 წლის N71 ოქმით

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მედიცინის სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

სარჩევი

თავი I ზოგადი დებულებები 3

მუხლი 1. რეგულირების სფერო 3

თავი II თსა-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება 3

მუხლი 2. თსა-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება 3

მუხლი 3. უცხო ქვეყნის მოქალაქეების და უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების თსა-ში ჩარიცხვა 4

მუხლი 4. თსა-ში მობილობის წესით ჩარიცხვა, შიდა მობილობა 5

თავი III სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა 6

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 6

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 7

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა 8

თავი IV სასწავლო წლის რეგლამენტი 8

მუხლი 8. სასწავლო წლის სემესტრები 8

მუხლი 9. სასწავლო ვადები 8

თავი V კრედიტების დაგროვება და სტუდენტის მიღწევის შეფასება 8

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშება 8

მუხლი 11. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება და სტუდენტის მიღწევის შეფასება 9

თავი VI სწავლის პერიოდში მიღებული შედეგების აღიარება - კრედიტების აღიარების წესი 11

მუხლი 12. სწავლის შედეგების/კრედიტების აღიარების ზოგადი დებულებები 11

მუხლი 13. სწავლის შედეგების/კრედიტების აღიარების მეთოდოლოგია 12

მუხლი 14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 13

მუხლი 15. დამატებითი სემესტრი 14

თავი VII სწავლის საფასური 14

მუხლი 16. სწავლის საფასური 14

თავი VIII აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი 15

მუხლი 17. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი 15

თავი IX საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა, გაუქმება 15

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა, გაუქმება 15

თავი X დასკვნითი დებულებები 15

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები 15

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ამ წესის მიზანია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების, 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებისა და 2011 წლის 29 დეკემბრის 224/ნ ბრძანების (და მათში განხორციელებული ცვლილება- დამატებების), ასევე, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, განისაზღვროს შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - „თსა“) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, სტუდენტის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, სტუდენტის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

თავი II თსა-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 2. თსა-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება

2.1 სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მედიცინის სკოლის სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;

2.2 თსა-ში ჩარიცხვის უფლების მქონე პირი თსა-ს მიერ დადგენილ ვადებში გადის რეგისტრაციას. რეგისტრაციისას ჩარიცხვის უფლების მქონე პირი წარმოადგენს თსა-ს მიერ დადგენილ დოკუმენტებს (სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, პირადობის მოწმობის ასლი, 4 ფოტოსურათი 3X4 (ასევე ელექტრონული ვერსიით), სამხედრო მიწერის მოწმობა ან აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის), სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადახდის დამადასტურებელი ქვითარი). რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდგომ, რექტორი სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (კოეფიციენტების რანჟირების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ) შესაბამისად გამოსცემს სამართლებრივ აქტს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მათი ჩარიცხვის შესახებ. რანჟირების სიით განსაზღვრული პირი, რომელიც ვადების დარღვევის გამო ვერ მოხვდა ჩარიცხულთა სიაში, უფლებამოსილია მომდევნო წლის ივნისამდე მიმართოს თსა-ს რექტორს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის თხოვნით. ამ შემთხვევაში, რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს სამართლებრივი აქტი, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.3 თსა აფორმებს ხელშეკრულებას ჩარიცხულ სტუდენტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან (არასრულწლოვანების შემთხვევაში).

მუხლი 3. უცხო ქვეყნის მოქალაქეების და უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების თსა-ში ჩარიცხვა

3.1 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სწავლის უფლების მინიჭების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში;

3.2 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა დასაშვებია:

3.2.1 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

3.2.2 საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

3.2.3 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა) რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

3.2.4 საქართველოს მოქალაქეებისთვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც არანაკლებ 75 დღის (ერთი სემესტრის განმავლობაში) ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში 75 დღით უცხო ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებით, არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდნენ მხოლოდ 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლომდე, რომელიმე სემესტრში და განათლებას იღებდნენ შესაბამის უცხო ქვეყანაში პანდემიის გამო განხორციელებული ან/და პანდემიის გავრცელების პრევენციის ან მისი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით დაშვებული დისტანციური სწავლების ფორმით.

3.3 თსა-ში ჩარიცხვის წინაპირობაა ზღვრული კონტიგენტის ფარგლებში ვაკანტური ადგილის არსებობა და რექტორის წერილობითი თანხმობა, ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე - მედიცინა კი, დამატებით, პირის მიერ პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად პირის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურება.

3.4 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით სწავლის უფლების მინიჭების და თსა-ს მიერ დადგენილი დოკუმენტების (ორიგინალი პასპორტის ასლი, პასპორტის ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 2 ფოტოსურათი 3X4 ბეჭდური სახით (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად), სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი), წარმოდგენის შემდეგ რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

მუხლი 4. თსა-ში მობილობის წესით ჩარიცხვა, შიდა მობილობა

4.1 თსა-ში სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების ("უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ") შესაბამისად;

4.2 თსა-ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს:

4.2.1 პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ) ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისთვის არის მოცემული დაწესებულების სტუდენტი;

4.2.2 პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს მოცემული დაწესებულების სტუდენტის სტატუსი;

4.2.3 პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;

4.2.4 სტატუსშეწყვეტილ პირს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში;

4.3 მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე/დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია/დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

4.4 სტუდენტთა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში წელიწადში ორჯერ, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ ვადაში, თსა-ს მიერ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე;

4.5 თსა მობილობისთვის ვაკანტურ ადგილებს განსაზღვრავს რექტორის ბრძანების საფუძველზე, არეგისტრირებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე და ინფორმაციას მობილობის შესახებ აქვეყნებს თსა-ის ვებგვერდზე;

4.6 მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით;

4.7 საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, მობილობის მსურველმა სტუდენტმა თსა-ს დადგენილ ვადებში უნდა მომართოს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

4.7.1 განცხადება რექტორის სახელზე;

4.7.2 პირადობის მოწმობის ასლი;

4.7.3 სრული ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან;

4.7.4 ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერტიფიკატი (2005-2010 წწ-ში ეროვნულგამოცდებჩაბარებული სტუდენტებისთვის);

4.7.5 სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის, ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი;

4.7.6 წვევამდელის მოწმობის ასლი (ვაჟებისთვის);

4.7.7 2 ფოტოსურათი 3X4 (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად);

4.7.8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ კურსზე ჩარიცხვის ბრძანების ამონაწერი.

4.7.9 სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით გამოცემული ყველა ბრძანების ასლი/ამონაწერი;

4.8 მობილობის მსურველის მხრიდან ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/მინიჭებული კრედიტების რაოდენობის თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებელ სასწავლო კურსებთან/კრედიტებთან შესაბამისობას სწავლობს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განმხილველი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: მედიცინის სკოლის დეკანი, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, დეკანის მოადგილე სტუდენტებთან ურთიერთობის მიმართულებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე. კომისია ადგენს შესაბამის ოქმს და განსაზღვრავს მობილობის მსურველისთვის სასწავლო სემესტრს. მობილობის მსურველი პირი ოქმის გაცნობის შემდეგ სპეციალურ ფორმაზე ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას აღიარებულ კრედიტების რაოდენობაზე/განსაზღვრულ სემესტრზე.

4.9 საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განმხილველი კომისიის ოქმისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე თსა შეიმუშავებს მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების პროექტს და გზავნის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მათ მიერ დადგენილ ვადაში.

4.10 თსა-ში სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანებას რექტორი გამოსცემს პროექტზე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დადებითი დასკვნის საფუძველზე. მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ პირადი საქმის წარმოდგენა ხდება ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდგომ.

4.11 თსა-ს რექტორი მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანებას გამოსცემს

არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა შემოდგომის და 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში ბრძანება იგზავნება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

4.12 სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებული მობილობის მსურველი პირი, რომელმაც მოიპოვა მობილობის უფლება და დადგენილ ვადაში თსა-ს განცხადებით არ მიმართა ჩარიცხვის თაობაზე კარგავს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.13 თსა-ში შიდა მობილობის უფლება სტუდენტს ეძლევა სწავლების I წლის პირველი სემესტრიდან და დასაშვებია მხოლოდ პირველიდან მეექვსე სემესტრის ჩათვლით. მეექვსე სემესტრის შემდგომ შიდა მობილობა არ განხორციელდება. შიდა მობილობა ცხადდება რექტორის მიერ დადგენილ ვადებში სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. კრედიტების აღიარება განხორციელდება მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

თავი III სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

5.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

ე) სწავლის დაწყებიდან 4 კვირის ვადაში თსა-ში გამოუცხადებლობა; გამონაკლისი შესაძლებელია დაიშვას დადასტურებული საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, ასევე როტაციული წესით მიმდინარე სასწავლო კურსებზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევას განიხილავს დეკანი;

ვ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში შეფასების არ მიღება;

ზ) თსა-ს ქცევის კოდექსით დადგენილი ნორმ(ებ)ის დარღვევა; ასეთ შემთხვევებში სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თსა-ს რექტორი ადმინისტრაციული კომიტეტის მიმართვის საფუძველზე.

თ) ფინანსური დავალიანება - სწავლის საფასურის დათქმულ ვადაში გადაუხდელობა; გამონაკლის შემთხვევებს განიხილავს საფინანსო სამსახური.

5.2 სტატუსის შეჩერება ფორმდება რექტორის ბრძანებით;

5.3 სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არის 5 წელი, რომლის განმავლობაში სტუდენტს აქვს მობილობით სარგებლობის უფლება;

5.4 სტუდენტი სტატუსის შეჩერების პერიოდში თავისუფლდება ფინანსური ვალდებულებისგან

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

6.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

ბ) 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;

გ) პირადი განცხადება;

დ) ერთი და იმავე სასწავლო კურსის ზედიზედ 3-ჯერ წარუმატებლად გავლა (კრედიტების ვერ ათვისება);

ე) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა თსა-ს სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ ან სხვა, თსა-ში მოქმედი ქცევის კოდექსის შესაბამისად დადგენილი ნორმების დარღვევა; სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თსა-ს რექტორი ადმინისტრაციული კომიტეტის მიმართვის საფუძველზე.

ვ) გარდაცვალება.

6.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება თსა-ს რექტორის მიერ ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ (გარდა ამ მუხლის „ვ“ პუნქტისა), შესაბამისად, დროის ამ მონაკვეთში სტუდენტი უფლებამოსილია აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის გზით;

6.3 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის შემდეგ სტატუსის ხელახლა მოპოვება დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

7.1 სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის თსა-სთვის განსაზღვრული ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის გადაჭარბებით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისთვის დადგენილი სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

7.2 სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტუდენტის მომართვის საფუძველზე სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში, სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო გონივრულ ვადაში;

7.3 უხეში და არაეთიკური დამოკიდებულების საფუძველზე სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება თსა-ს მიერ სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სტუდენტის მომართვის საფუძველზე.

7.4 სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების დასაშვები ეტაპი (სწავლების წელი, სემესტრი) განისაზღვრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

თავი IV სასწავლო წლის რეგლამენტი

მუხლი 8. სასწავლო წლის სემესტრები

8.1 თსა-ში სასწავლო წელი ორსემესტრიანია - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრები, თითოეული სემესტრი მოიცავს 21 კვირას;

8.1.1 საბაზისო სწავლების ეტაპზე 15 კვირა გათვალისწინებულია სააუდიტორიო მეცადინეობებისთვის, დარჩენილი 6 კვირა ეთმობა გამოცდებისთვის მომზადებას, შუალედურ, დასკვნით და დამატებით გამოცდებს;

8.1.2 კლინიკური სწავლების ეტაპზე ყოველი კურაცია/კლინიკური როტაცია სრულდება დასკვნითი გამოცდით. დამატებითი გამოცდები ტარდება საგამოცდო ცხრილის შესაბამისად;

მუხლი 9. სასწავლო ვადები

9.1 სასწავლო წლის/სემესტრების, სასესიო პერიოდის, დაწყების, დასრულების ვადები განისაზღვრება ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით.

9.2 აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყების წინა სამუშაო დღეს.

თავი V კრედიტების დაგროვება და სტუდენტის მიღწევის შეფასება

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშება

10.1 სტუდენტის აკადემიური დატვირთვის ასახვისათვის თსა იყენებს ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემას ECTS; კრედიტი არის ერთეული, რომელიც ასახავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას, გამოხატულს დროის ერთეულში - საათში; კრედიტები ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსებზე/კომპონენტებზე და ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისთვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად;

10.2 კრედიტი არ შეიძლება გაანგარიშებული იქნეს მხოლოდ პროფესორ- მასწავლებელთან სასწავლო გარემოში სტუდენტის მიერ გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით. შესაბამისად თსა-ში სტუდენტის დატვირთვა მოიცავს, როგორც ლექციებზე, ჯგუფურ მეცადინეობებზე (პრაქტიკული, ლაბორატორიული, სემინარი, კურაცია) დასწრება-აქტივობას და კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ასევე გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, დამოუკიდებელ მუშაობას;

10.3 თსა-ში ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების - სამკურნალო საქმე (ქართულენოვანი) და მედიცინა (ინგლისურენოვანი) მოცულობა განისაზღვრება 360 ECTS კრედიტით; ერთი ECTS კრედიტი შეესაბამება 30 ასტრონომიულ საათს; სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეადგენს 60 ECTS კრედიტს (1800 ასტრონომიულ საათს), შესაბამისად, ერთი სემესტრის განმავლობაში - 30 კრედიტს. სწავლის პერიოდი მოიცავს არანაკლებ 6 წელს;

10.4 სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შესაძლებელია განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით. "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში შეტანილი ცვლილების თანახმად "დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს";

10.5 თსა-ში ყოველი სასწავლო კურსი ხორციელდება ერთი სემესტრის განმავლობაში.

მუხლი 11. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება და სტუდენტის მიღწევის შეფასება

11.1 სტუდენტს ECTS კრედიტი ენიჭება სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამის გათვალისწინებით. სტუდენტთა ცოდნის შეფასება მრავალკომპონენტიანია და ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას.

შუალედურ და დასკვნით შეფასებებს შორის, ასევე შუალედური შეფასების კომპონენტებს შორის ქულების გადანაწილებას განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი თავისი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, რაც აისახება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში; დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.

11.1.1 დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში თუ მოაგროვებს შუალედური შეფასების 50%+1 ქულას; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობა ზოგიერთ სასწავლო კურსში შესაძლოა იყოს განმავითარებელი შეფასებების, ლექცია/სემინარებზე დასწრების, შუალედური გამოცდის შეფასების წინასწარ განსაზღვრული პროცენტული ზღვარი, რაც დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსის შესაბამის სილაბუსში.

11.1.2 იმისთვის, რომ დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვალოს სტუდენტმა უნდა მიიღოს მაქსიმალური შეფასების მინიმუმ 50%.

11.1.3 დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტს ერთჯერადად ეძლევა საგნის გადაბარების შესაძლებლობა დამატებითი გამოცდით, რომელიც ტარდება შესაბამის საგანში დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

11.1.4 დამატებით გამოცდაზე (განმეორებითი დასკვნითი გამოცდა) გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგით დააგროვა 41-დან 50-მდე ქულა.

11.1.5 შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგით 41 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში სტუდენტმა განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.

11.1.6 სტუდენტის მიერ მიღებული ჯამური შეფასება აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში „საგამოცდო ცენტრის დებულების“ შესაბამისად.

11.1.7 სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს გამოცდაზე მიღებული შედეგები (დეტალური ინფორმაცია აპელაციის პროცედურების შესახებ იხ. „საგამოცდო ცენტრის დებულებაში“).

11.2 სტუდენტს სასწავლო კურსში ECTS კრედიტი ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ მას შუალედური და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შეფასებების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა.

11.3 აკადემიური საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სტუდენტმა სასწავლო კურსი გაიაროს ინტენსიური სწავლების ფორმატით მხოლოდ გაზაფხულის სემესტრის ბოლოს. ინტენსიური სასწავლო კურსის ორგანიზება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კურსზე რეგისტრირებულია არანაკლებ 4 სტუდენტი; სასწავლო კურსის ღირებულება განისაზღვრება კრედიტების შესაბამისად. ინტენსიური სასწავლო კურსი წარმოადგენს სემესტრის შემადგენელ ნაწილს და ტარდება საგამოცდო სესიების დასრულების შემდეგ; ინტენსიური სასწავლო კურსის მიმდინარეობისას ხორციელდება სილაბუსით გათვალისწინებული ყველა აქტივობა. ინტენსიური სასწავლო კურსი იქმნება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ცვლილების, ან სტუდენტისგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზის გამო დგება სასწავლო კურსის შექმნის აუცილებლობა სტუდენტისათვის

სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

11.4 შეფასების სისტემა უშვებს 5 სახის დადებით (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, საკმარისი) და ორი სახის უარყოფით (ვერ ჩააბარა, ჩაიჭრა) შეფასებას.

11.5 სტუდენტის ECTS სისტემით შეფასება ხდება შემდეგი სქემის მიხედვით:

ქულა	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, Fx (სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება)
0-40	ჩაიჭრა, F (სტუდენტმა კრედიტის მისაღებად განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი)

11.6 თსა-ში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება GPA-ით (grade point average). სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების შესაბამისი GPA კოეფიციენტებია:

ქულა	შეფასება	GPA კოეფიციენტი
91-100	A	4.0
81-90	B	3.0
71-80	C	2.0
61-70	D	1.0
51-60	E	0.5
0-50	F-FX	0

11.7 GPA-ის დაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება სწავლების შესაბამის ეტაპზე მიღებული ყველა შეფასება. GPA-ს გამოთვლა ხდება შემდეგი წესის მიხედვით:

11.8 თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასების შესაბამისი კოეფიციენტი მრავლდება ამ სასწავლო კურსის კრედიტების ოდენობაზე; მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა ათვისებული კრედიტების საერთო რაოდენობაზე.

11.9 მეათედამდე მათემატიკური სიზუსტით დამრგვალებული სიდიდე წარმოადგენს GPA-ს.

11.10 კურსდამთავრებულის GPA მიეთითება დიპლომის დანართში.

თავი VI სწავლის პერიოდში მიღებული შედეგების აღიარება - კრედიტების აღიარების წესი

მუხლი 12. სწავლის შედეგების/კრედიტების აღიარების ზოგადი დებულებები

12.1 თსა აღიარებს ავტორიზებულ აკადემიურ დაწესებულებაში შესაბამისი საფეხურის უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს;

12.2 სწავლის შედეგების აღიარებისას დგინდება პირის სხვა უმაღლესი სასწავლებელში მიღებული სწავლის შედეგების შესაბამისობა მის მიერ არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებთან ECTS კრედიტების სისტემის მიხედვით;

12.3 კრედიტების აღიარების პროცედურას ახორციელებს თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განმხილველი კომისია (მუხლი 4.8)

12.4 წინამდებარე წესი ეხება თსა-ში აღდგენილ, თსა-ში მობილობის წესით ჩარიცხულ, გაცვლით პროგრამებში მონაწილე ყველა სტუდენტს, ასევე მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში.

12.5 თსა-ში გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტისათვის კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული ვალდებულებები და წესი დამატებით აისახება თსა-სა და სტუდენტს და თსა-სა და პარტნიორ უნივერსიტეტს შორის დადებულ ხელშეკრულებაში;

12.6 უცხოეთში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სწავლის შედეგს თსა აღიარებს მხოლოდ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემდეგ;

12.7 თსა უფლებამოსილია მოახდინოს სწავლის პროცესში მოპოვებული კრედიტების გადაღიარება იმ შემთხვევაში, თუ თსა-ს სტუდენტს აქვს აკადემიური ჩამორჩენა/ან მან აღიდგინა სტატუსი და სწავლის გაგრძელება უწევს მოდიფიცირებულ პროგრამაზე; გადაღიარების პროცედურას ახორციელებს თსა-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი. გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით. შესაბამისი ცვლილებები აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში;

მუხლი 13. სწავლის შედეგების/კრედიტების აღიარების მეთოდოლოგია

13.1 პირის მიერ გავლილი სასწავლო კურსების/კრედიტების აღიარება ხდება შესაბამისი სასწავლო კურსების სახელწოდების მიხედვით;

13.2 თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის დასახელებასთან სხვაობის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისობა დგინდება სასწავლო კურსის შინაარსის ან/და სწავლის შედეგების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, თსა უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო

კურსების სილაბუსების წარმოდგენა;

13.3 სასწავლო კურსის შინაარსიდან, კრედიტების მოცულობიდან გამომდინარე, სხვა უსდ-ში გავლილი რამდენიმე საგანი თსა-ში შეიძლება აღიარებულ იქნას ერთ სასწავლო კურსად და პირიქით

13.4 სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსების აღიარება ხდება თსა-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, მუხედავად იმისა, თუ რამდენ კრედიტად აქვს გავლილი პირს აღნიშნული სასწავლო კურსი;

13.5 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილ აკადემიურ ცნობაში სასწავლო კურსებს არ აქვს მინიჭებული კრედიტი, კრედიტების განსაზღვრა ხდება შემდეგი წესით: სასწავლო კურსს, რომლის საკონტაქტო საათების რაოდენობა ემთხვევა ან მიახლოებულია თსა-ს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს, ენიჭება იგივე კრედიტი.

13.6 თუ საკონტაქტო საათები განსხვავებულია, თითოეული სასწავლო კურსის კრედიტი განისაზღვრება საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჯამის განაყოფით 30-ზე (ანუ 1 კრედიტის საათობრივ რაოდენობაზე) და დამრგვალდება მთელ რიცხვამდე;

13.7 შეფასების 5-დან 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

5	ხუთი	95 ქულა
4	ოთხი	85 ქულა
3	სამი	70 ქულა

13.8 სტუდენტთა ცოდნის ლათინური ასოებით (A, B, C, D, E, A+, A, A- და სხვ.) შეფასების შემთხვევაში, მოცემული სისტემის გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით:

A +	ფრიადი	100
A	ფრიადი	95
A -	ფრიადი	91
B +	ძალიან კარგი	90
B	ძალიან კარგი	85
B -	ძალიან კარგი	81
C +	კარგი	80
C	კარგი	75
C -	კარგი	71
D +	საშუალო	70
D	საშუალო	65
D -	საშუალო	61

E +	დამაკმაყოფილებელი	60
E	დამაკმაყოფილებელი	55
E -	დამაკმაყოფილებელი	51

13.9 იმ შემთხვევაში თუ ცოდნის შესაფასებლად გამოყენებულია ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“, სტუდენტს ენიჭება პირობითი ქულა: სტუდენტის მიერ ყველა დისციპლინაში მიღებული ქულის საშუალო არითმეტიკული, დამრგვალებული მთელ რიცხვამდე.

მუხლი 14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

14.1 სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებისას თსა უზრუნველყოფს სწავლებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად;

14.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანია უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების შეუფერხებელი ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში;

14.3 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას თსა ახორციელებს სტუდენტის საუკეთესო ინტერესიდან, სასწავლო კურსების პრერეკვიზიტულობიდან და საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევადობიდან გამომდინარე;

14.4 თსა-ში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობენ:

14.4.1 მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები;

14.4.2 სტუდენტები, რომლებმაც აკადემიური ჩამორჩენის გამო სრულად ვერ აითვისეს შესაბამისი კრედიტები;

14.4.3 სტატუს-აღდგენილი სტუდენტები სასწავლო გეგმებში სხვაობის შემთხვევაში;

14.4.4 სტუდენტები პირადი ან ჯგუფური დასაბუთებული თხოვნის საფუძველზე;

14.4.5 გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტები

14.4.6 შშმ პირები/სსსმ (საჭიროების შემთხვევაში)

14.5 ინდივიდუალური საჭიროებების სტუდენტების იდენტიფიცირება ხდება მედიცინის სკოლის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ წარმოდგენილი აკადემიური დოკუმენტების/სემესტრის შედეგების/თსა-ს სტუდენტთა საკონსულტაციო სამსახურის ინფორმაციის/გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის მიერ პარტნიორი უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი დანართის/შშმ, სსსმ პირების შემთხვევაში შესაბამისი სამედიცინო ცნობის საფუძველზე.

14.6 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას თსა ხელმძღვანელობს კრედიტების აღიარების წესით და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

14.7 მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების

შესაბამისობის განმხილველი კომისიის მიერ მზადდება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დასკვნა, სადაც პრერეკვიზიტულობის პრინციპის გათვალისწინებით ხდება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა;

14.8 ამ მუხლის 14.4.2 - 14.4.5 გათვალისწინებულ შემთხვევებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმას ადგენს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ითვალისწინებს მომდევნო სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების წინაპირობებს (სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას);

14.9 შშმ/სსსმ პირებს (საჭიროების შემთხვევაში) დეკანთან წინასწარ შეთანხმებით თსა სთავაზობს:

ინდივიდუალურ სასწავლო განრიგს;

შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდების, ასევე მიმდინარე გამოკითხვების ინდივიდუალურ გრაფიკს;

ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გაცდენილი საათების აღდგენას;

გამოცდის ადაპტირებულ მეთოდს (იგულისხმება გამოცდისთვის დამატებითი დროის მიცემა, ალტერნატიული ტესტირებების უზრუნველყოფა, გამოცდის განსხვავებული ფორმატის შეთავაზება და ა.შ.);

14.10 ინდივიდუალური გეგმის დამტკიცების ვადა განისაზღვრება ახალი სემესტრის დაწყებამდე 1 სამუშაო კვირით ადრე.

მუხლი 15. დამატებითი სემესტრი

სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადაში ვერ დააგროვა 360 კრედიტი, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო ორი სემესტრის განმავლობაში.

თავი VII სწავლის საფასური

მუხლი 16. სწავლის საფასური

თსა-ში სწავლის საფასური განისაზღვრება ყოველი სასწავლო წლისთვის და არ იცვლება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე. სწავლის საფასურის გაზრდა შესაძლებელია გარემოებების არსებითი ცვლილების დროს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული შესაბამისი დადგენილების საფუძველზე.

თავი VIII აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

მუხლი 17. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

17.1 თსა-ს სტუდენტს, რომელმაც დააგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები, მედიცინის სკოლის გადაწყვეტილების საფუძველზე ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი და კურსდამთავრებულის სტატუსი. მედიცინის სკოლის გადაწყვეტილებას ხელს აწერენ სკოლის დეკანი, პროგრამის თანახელმძღვანელები და თსა-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

17.2 აკადემიურ ხარისხს ადასტურებს თსა-ს რექტორისა და სკოლის დეკანის მიერ ხელმოწერილი და თსა-ს ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, რომლის ფორმა შეთანხმებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. დიპლომთან ერთად კურსდამთავრებულს ეძლევა ECTS-ის შესაბამისი დიპლომის სტანდარტული დანართი;

17.3 სტუდენტს, რომლის GPA 3.5 და მეტია, გადაეცემა დიპლომი „წარჩინებით“.

17.4 სტუდენტი, რომელმაც ვერ დააგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები ძირითად და დამატებით სემესტრებში მიიღებს ცნობას თსა-ში გავლილი სასწავლო კურსების და ათვისებული კრედიტების მითითებით.

თავი IX საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა, გაუქმება

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა, გაუქმება

18.1 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, თსა იღებს ვალდებულებას მისცეს სტუდენტებს შესაძლებლობა შეფერხების გარეშე დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამა;

18.2 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში თსა იღებს ვალდებულებას, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ორგანიზება გაუწიოს სტუდენტების გადაყვანას სხვა ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებელში (აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე), გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

თავი X დასკვნითი დებულებები

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

19.1 წინამდებარე წესს ამტკიცებს რექტორის საბჭო.

19.2 წინამდებარე წესი შესასრულებლად სავალდებულოა სასწავლო პროცესში და მის მართვასა და ადმინისტრირებაში მონაწილე ყველა პირისათვის.

19.3 წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხდება მისი დამტკიცების წესით.